ოქმი:**ო37.37220841**

თარიღი:**25/03/2022**

ოქმი N 5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

2022 წელი,

23 მარტი

ქ. ოზურგეთი

12.00 -15.00 საათი

თავმჯდომარეობდა : დავით დარჩია, საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა, მოადგილეები: ტ. არუშიძე, ნ.ჭანიშვილი; მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: გ. ჩავლეშვილი, ქ. ხომერიკი, პ. კიღურაძე, დ. ჭაკნელიძე, ბ. თოიძე; ფრაქციათა თავმჯდომარეები: მ. ჩხიკვიშვილი, ალ. ბურჭულაძე, დ. მჟავანაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ. ვაშალომიძე, ნ. ქარჩავა, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ე. გორდელაძე, ლ. კილაძე, გ. მდინარაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე, ბ. მელუა, პ. სალუქვაძე, შ. თავდიშვილი, ი. თუთბერიძე, გ. შილაკაძე, თ. ნიკოლაშვილი, ხ. თავდიშვილი, ბ. კილაძე, გ. სირაძე, ნ. ნადირაშვილი, ღ. დუმბაძე, ბ. ქათამაძე, ნ. მახარაძე, ვ. ნიჟარაძე, თ. ტუღუში, ნ. სარჯველაძე, ტ. მგელაძე.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გ. ღურჯუმელიძე, მოადგილეები: ნ. გოლიაძე და ნ. ბოლქვაძე.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, 45 საკრებულოს წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 40-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 40 - ხმით.

საკითხების განხილვის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ ისაუბრა მოძმე უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე, სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს, შემდეგ მისი წინადადებით საკრებულოს წევრებმა და დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო უკრაინის ომში გარდაცვლილ ქართველ მეომრებს.

დღის წესრიგი

6.1. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი

სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილებისშეტანისთაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია
თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა
პაატა კიღურაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 40 - ხმით

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2021 წელს განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის მოსმენის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია
თანამომხსენებელი: დავით გორდელაძე
გელა ჩავლეშვილი

საკრებულომ ანგარიში მიიღო ცნობად.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე და მხარი დაუჭირა მას.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ კარგი იქნება ანგარიშს თან ახლდეს ახსნა-განმარტებითი ბარათი.

11.3. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშისდამტკიცებისშესახებ“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულე-ბის მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია
თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია
გელა ჩავლეშვილი
განკარგულება თან ერთვის
მიღებულ იქნა 40- ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა ანგარიშზე, იგი შედგენილია კანონმდებლობის დაცვით, მხარი დაუჭირა მას, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ხარვეზებიც თუმცა არაარსებითი მნიშვნელობის.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგლემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ ხარვეზები და შენიშვნები არაარსებითი არ არსებობს, მერიამ შემდგომ საქმიანობაში იგი უნდა გაითვალისწინოს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ანგარიში მეთოდოლოგიურად კარგადაა შედგენილი.

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს, მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მოსახლეობას უკრაინელი ხალხის დახმარებისათვის, განაცხადა, რომ ფრაქციამ იმსჯელა და მხარს უჭერს ანგარიშის დამტკიცებას, თუმცა არის შენიშვნებიც, პროგრამა „ახალგაზრდული პროგრამების“ დაფინანსება განსაზღვრული იყო 70,000 ლარის ოდენობით. წარმოდგენილი ბიუჯეტის წლიური ანგარიშიდან ჩანს, რომ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ათვისებული იქნა მხოლოდ 2,4 ათასი ლარი, ანუ მხოლოდ 3,5%. ყოფილი მერის პოლიტიკური შეხედულებებისა და ფრაქციის თავმჯდომარესთან პირადი დამოკიდებულების გამო, დაიბლოკა სკოლის მოსწავლეებისა და ახალგაზრდების მიერ შემოტანილი რამოდენიმე პროექტი. ქვეპროგრამა ,,სტიქიის შედეგების აღმოფხვრა, სტიქიით

დაზარალებული მოსახლეობის დახმარება“ შესრულდა მხოლოდ 37,9%-ით. ამასთან, ადრე შეძენილი მასალების მოსახლეობისთვის გადაცემა მოხდა ადგილობრივი თვითმმართველობის საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის დროს მუნიციპალიტეტის მერის თანამდებობაზე არჩევის მხარდაჭერის სანაცვლოდ. პოლიტიკური შეხედულების გამო, ყოფილმა მერმა, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსად არ დანიშნა ბესო მელუა, მან მერს მოუგო ყველა ინსტანციის სასამართლო და იძულებითი განაცდურის გამო, შესაბამისი ოდენობის გასამრჯელოც მიიღო, რის გამოც დაზარალდა ბიუჯეტი.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ დ. მჟავანაძემ განაცხადა, რომ ეთანხმება ყოფილი მერის მიმართ გამოთქმულ შენიშვნებს, მაგრამ საკითხავია- ადრე რატომ ვერ შენიშნეს ყოფილი მერის საქმინობაში ნაკლოვანებები?

საკრებულოს წევრმა შ. თავდიშვილმა განაცხადა, რომ მ. ჩხიკვიშვილი იმიტომაა გაბრაზებული ყოფილ მერზე, რომ მისი სახლის წინ გამავალ გზაზე არ დააგო ასფალტი. ამ განცხადებებს მოჰყვა ხმაური და სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ გამოაცხადა 10 -წუთიანი შესვენება. სხდომა გაგრძელდა 14.00 საათზე. შესვენების შემდეგ რეგისტრაცია გაიარა 40-მა საკრებულოს წევრმა.

12.4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 40- ხმით

საკითხის განხილვის დაწყებამდე გ. ღურჯუმელიძემ სოლიდარობა გამუცხადა უკრაინელ ხალხს და დახმარების მსურველებისთვის გამოაცხადა სახაზინო კოდი, სადაც ხდება შემოწირულობის მობილიზება. საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგლემ ლ. ბიგვავამ დასვა შეკითხვა: მანქანები ადაპტირებულია თუ არა არსებულ ნაგავშემკრებ კონტეინერებზე და რას შეადგენს მათი ღირებულება? უპასუხეს, რომ მანქანები ადაპტირებულია, არის მაღალი გამავლობის და მათი ღირებულება შეადგენს 2-მილიონ ლარზე მეტს.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა საკითხზე და მხარს უჭერს მას.

13.5. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ნათია გოლიაძე

მარინა ჯაფარიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 40 ხმით

ამ საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ვადად განისაზღვრა 5-სამუშაო დღე. ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ მისასალმებელია შეტანილი ცვლილებები განსაკუთრებით ,აუტისტური სპექტრისა და ვაუჩერული დაფინანსების თვალსაზრისით.

14.6. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 40- ხმით

საკითხის განხილვის დაწყებამდე, საკრებულოს წევრმა შ. თავდიშვილმა განაცხადა, რომ მერის სხდომაზე არ ყოფნის გამო გადაედოთ საკითხის განხილვა, საკრებულომ არ გაითვალისწინა ეს წინადადება.

თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ მერიაში უნდა განხორციელდეს სტრუქტურული რეორგანიზაცია, რეფორმები, შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელმაც განახორციელა კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებების, მოამზადა სათანადო სამართლებრივი აქტების პროექტები და წარმოადგინა საკრებულოში.

საკრებულოს წვრმა ბ. ქათამაძემ განაცხადა, რომ იმედია რეორგანიზაცია იქნება გამართლებული. თანამომხსენებელმა უპასუხა, რომ სტრუქტურული რეორგანიზაცია განხორციელდება სახელმწიფო და შიდა აუდიტის შენიშვნების გათვალისწინებით. ჩატარდება კანონმდებლობის დაცვით და სამართლიანობის პრინციპით.

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ დ. მჟავანაძემ იკითხა-მოხდება თუ არა შტატების შემცირება? მერის პირველმა მოადგილემ, გ.ღურჯუმელიძემ განმარტა, რომ მოხდება ოპტიმიზაცია, რომელიც ითვალისწინებს ზოგიერთ სტრუქტურულ ერთეულში შტატების გაზრდას, ზოგ სტრუქტურულ ერთეულში შემცირებას.

საკრებულოს წევრმა რ. დუმბაძემ იკითხა, ხომ არ მოხდება თანამშრომელთა შემცირება დისკრიმინაციული ნიშნით? განუმარტეს, რომ აღნიშნული შეკითხვა საფუძველს მოკლებულია, პროცესი წარიმართება კანონმდებლობის დაცვით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით და კანონქვემდებარე აქტებით რეგულირებულია პროცედურები.

აღნიშნულ საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ვადა განისაზღვრა 21 აპრილამდე.

15.7. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31- ხმით, წინააღმდეგი 9

აღნიშნულ საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ვადა განისაზღვრა 21 აპრილამდე.

16.8. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31- ხმით, წინააღმდეგი-9

აღნიშნულ საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ვადა განისაზღვრა 21 აპრილამდე.

17.9. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31- ხმით, წინააღმდეგი-9

აღნიშნულ საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ვადა განისაზღვრა 21 აპრილამდე.

18.10. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31- ხმით, წინააღმდეგი-9

აღნიშნულ საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ვადა განისაზღვრა 21 აპრილამდე.

19.11. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 40- ხმით

აღნიშნულ საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ვადა განისაზღვრა 21 აპრილამდე.

20.12. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 40- ხმით

აღნიშნულ საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ვადა განისაზღვრა 21 აპრილამდე.

21.13. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 40- ხმით

აღნიშნულ საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ვადა განისაზღვრა 21 აპრილამდე.

22.14. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე
განკარგულება თან ერთვის
მიღებულ იქნა 31- ხმით, წინააღმდეგი-9

აღნიშნულ საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ვადა განისაზღვრა 21 აპრილამდე.

ჟურნალისტმა მ. ჩიხლაძემ დასვა შეკითხვა უქმდება თუ არა სოფლის მეურნეობის განყოფილება? უპასუხეს, რომ შეერწყმება სხვა განყოფილებას თავისი ფუნქციით.

ფრაქციის თავმჯდომარემ ალ. ბურჭულაძემ იკითხა:- უქმდება თუ არ ტურიზმის

განყოფილება? უპასუხეს, რომ შეერწყმება სხვა განყოფილებას თავისი ფუნქციით.

23.15. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31- ხმით, წინააღმდეგი-7

საკითხის განხილვისას საკრებულოს წევრმა თ.ნიკოლაშვილმა განაცხადა, რომ როცა მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ასე შეჭივრებულია მერიის თანამდებობის პირებისათვის ხელფასის ამგვარი გაზრდა ამორალურია, დაასახელა ქ.ოზურგეთის მცხოვრები ვენერა გაზდელიანი, რომელიც თვეების მანძილზე ელოდება საცხოვრებელი სახლის გადახურვას, იმყოფება მძიმე მდგომარეობაში. მერის პირველმა მოადგილემ, გ.ღურჯუმელიძემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოჯახს არაერთგზის გაეწია დახმარება სოციალური კუთხით. ასევე, თ. ნიკოლაშვილს უპასუხა საკრებულოს წევრმა, მ.ვაშალომიძემ. მან განმარტა, რომ ვ.გაზდელიანის სახლის გადახურვა შეუძლებელია, სახლის კედლები მთლიანად არის დაზიანებული, ქირით გაყვანაზე ან/და ხანდაზმულთა სახლში გადასვლაზე კი, უარს აცხადებს.

აღნიშნულ საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ვადა განისაზღვრა 21 აპრილამდე.

24.16. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ოზურგეთის მუნიციპალური ინსპექციის“ დაფუძნების შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის მუნიციპალური ინსპექციის“ მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის განმახორციელებელ ადმინისტრაციულ ორგანოდ განსაზღვრის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31- ხმით, 7-წინააღმდეგი

ამ საკითხზე საუბრისას, თანამომხსენებელმა განაცადა, რომ რეფორმა გულისხმობს ახალი სტრუტურული ერთეულის შექმნას.

საკრებულოს წევრმა დ. მჟავანაძემ დასვა შეკითხვა-გაუქმდება თუ არა ზედამხედველობის სამსახური? უპასუხეს, რომ გაუქმდება.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი